ცნობის ფურცელი

№ -066 სამშაბათი, 11 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2066

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეკატერინე სტეფანეს ასული კაკალოვისა და პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი დისას და მეორე დეიდის

სოფიო სტეფანეს ასულის დუნაევსკისას.

გამოსვენება იქნება ტფილისის მიხეილის საავადმყოფოდან კუკიის კათოლიკეთა ეკლესიაში ოთხშაბათს, 12 თებერვალს, დილის 10 საათზე. (2—1)

წარმოდგენა მე-87. **ქართული თეატრი** ტელეფონი 617

ხუთშაბათს, 13 თებერვალს, 1903 წელს.

✦ უკანასკნელი წარმოდგენა ✦

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

პირველად ორი ახალი პიესა

I

დარღვეული კერა

პიესა 3 მოქმ. ნაიდენოვის დრამიდან გადმოქართულებული ვალ. გუნიას მიერ.
(ამ პიესისთვის შეკეთილია ახალი დეკორაციები)

II

სიძე-სიმამრი

მხიარ. კომ. 3 მოქ. ვ. გუნიასი (გერმანულიდან)

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა. ბ. რიონელი, ბ. როსტომიანი, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი ხადამთ 8 საათზე. რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ვ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (სირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ა. ვ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი: ოთხშაბათობით 12—1 საათამდე.

ბ. ვ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ვრ. ვ. ხოგოლევსკი—სირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ვ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მასაჟის და საექიმო გიმნასტიკა": ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საკონდიტერო

„MARIE"

ქართველ ქალთა ამხანაგობის მიერ გაიხსნა 28 იანვარს სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლში (სოლოლაკში). მასთანვე არის მშვენივრად მოწყობილი „Cafe". (10—3)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის საზოგადოების გამგეობა, წესდების მე-16 §-ის თანახმად, სთხოვს წევრებს მობძანდნენ საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება ტფილისის სამოსამართლო პალატაში კვირას, 16 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში 1902 წლის მოქმედებისა; 2) ფულის ანგარიში 1902 წლ.; 3) მცირე წლოვანთა ახალშენის ანგარიში 1902 წლ.; 4) შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1903 წლ; 5) სარევიზიო კომისიის მოხსენება 1902 წლის ანგარიშისა და 1903 წლის აღრიცხვის გამო; 6) გამგეობის ოთხის წევრისა, იმათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისის წევრთა არჩევა; 7) ი. დ. მალალაშვილის დამტკიცება ახალშენის დირექტორის თანამდებობაზე.

შენიშვნა: საზოგადო კრება კანონიერი იქმნება, თუ 20 წევრი მაინც დასწრო. (2—1)

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა"

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილი ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. ბარონის ქუჩა, ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—4)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. დეპეშებშიაც ხომ ეწერა და ეხლა გაზეთებიდანაც სჩანს, რომ ჩემბერლენი კაპის კოლონიაშიაც ცუდად მიუღიათ.

წარსულ პარასკევს კოლონიების მინისტრი ქალ. გრააფ-რეინეტში მივიდა. ამ ქალაქში თითქმის მარტო ჰოლანდიელები ცხოვრობენ. ჰოლანდიელებმა არაფერი მონაწილეობა არ მიიღეს მინისტრის დახვედრაში, პირიქით, მტრული დემონსტრაციის გამართვაც უნდოდათ. მართალია, მერე დემონსტრაცია აღარ გაუმართავთ, მაგრამ აფრიკანდერთა კომიტეტის წევრები ბევრნი ქალაქ გარედ გავიდნენ: არ უნდოდათ მინისტრს შეხვედროდნენ. ეს კიდევ არა კმარა,—ხალხმა წყალი არ მისცა ქალაქის მმართველობას პარკების მოსარწყავად—უმთავრესი მშვენება ამ ქალაქისაც ეს პარკებია—ასე რომ ჩემბერლენს მტვრით სავსე ალეიებზე მოუხდა გავლა. ხალხი ქუჩებში არსად სალამს არ აძლევდა მინისტს და იმის მეუღლეს. თითონ მინისტრი თავს უკრავდათ, ხალხი მაშინაც კი სამაგიეროს არ უხდიდა. მინისტრმაც აღარ დაჰფარა თავისი უკმაყოფილება და როცა ადგილობრივ ხალხის დეპუტაცია წარუდგა, ნამდვილი შენიშვნა მისცა ამ დეპუტაციას. ჩემბერლენმა სთქვა: აქაური ჰოლანდიელები ბრიტანიის მომხრეების წინააღმდეგ ბოიკოტს ჰმართვენ, როცა აქ მოველი, გულზე წითელი ნიშანი ჰქონდა გაკეთებული შარშან ამ დროს თოფით დახვრეტილ ბურების სარდლის შეფერსის სახსოვრადაო. ჩემბერლენმა დაუმატა: თქვენ ეხლა მარწმუნებთ, ინგლისის ერთგულები ვართო, ლორდ მილნერსაც ასევე არწმუნებდით, მაგრამ როცა ინგლის-ბურების ომი დაიწყო, ხალხის მომეტებული ნაწილი ბურების მხარეს გადავიდა. ამნაირი ქცევა არ გეპატიებათ. თუ უნდათ, რომ თავისუფლება შერჩეთ, სამხრეთ-აფრიკის ჰოლანდიელებმა არავის არ უნდა მისცენ ნება, რომ თავხედათ მოიქცნენ.

ავსტრო ჰუნგრეთი. რეიხსრატს ამ ჟამად ბეჭდვის თავისუფლების თაობაზე შედგენილი კანონ-პროექტი წარუდგინეს განსახილველად. „ნ. ფ. პრესე" ასე ახასიათებს ამ კანონ-პროექტს.

„ეს კანონ-პროექტი სულაც არაა იდეალური კანონ-პროექტი. ეს ხომ პირველ წაკითხვის დროსვე თითქმის ერთხმად აღიარეს რეიხსრატში. კანონ-პროექტი ძლიერ გაუბედავადაა შედგენილი. წინანდელ კანონ-პროექტის უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ მთავრობასა და ადმინისტრაციას ყოველ წამს შეეძლო გაზეთის ცალკე ნომერი დაეკავებინა, მაგრამ ახალი კანონ-პროექტიც არა ჰსპობს კია ამ უფლებას, მხოლოდ ჰზღუდავს. ბევრი სხვა ნაკლიც აქვს ახალ კანონ-პროექტს, მაგრამ ეს კანონ-პროექტი მაინც გაცილებით სჯობს ეხლანდელ კანონს. ეხლანდელი კანონი ისეთი უვარგისია, რომ ავსტრიის გაზეთები ახალ კანონ-პროექტს დიდის სიხარულით ეგებებიან.

საფრანგეთი. ქ-ნმა ემბერმა გამოაცხადა, რომ ბანკირი კატოი ძლიერ უსინიდისოთ მექცეოდა და დიდს სარგებელს მართმევდაო. კატოიმ ქ-ნ ემბერის სიტყვები ცილისწამებად ჩასთვალა და სასამართლოში უჩივლა. ამ საქმის გარჩევა სასამართლოში წარსულ ხუთშაბათს გათავდა.

სასამართლომ პირველად სენატორად ნამყოფი კრემიე ალაპარაკა. ტერეზა ემბერი ამტკიცებს, რომ ბანკირ კატოის დამრიგებელი და შუამავალი კრემიე იყოო. კრემიემ სულ წინააღმდეგი სთქვა. „თქვენ, ყველანი, ცრუები ხართ"!—დაუყვირა ტერეზამ. კატოიმაც რაღაცა სთქვა, მაგრამ საზოგადოებამ უკმაყოფილების ნიშნად ხმაურობა დაიწყო და სიტყვა შეაწყვეტინა კატოის. კატოის ადვოკატმა რუსომ პროტესტი გამოაცხადა: რა უბედურებაა,—რამწამს ჩემი კლიენტი ერთს სიტყვას იტყვის, მაშინვე ხმაურობა ასტყდება ხოლმე დარბაზშიო. მოწმეების ჩვენება ამით გათავდა და ორსავ მხარის ადვოკატებმა კამათი დაიწყეს.

კატოის დამცველი რუსო უმთავრესად იმას ამტკიცებდა, რომ ოფიციალური ექსპერტის ჩვენება სწორე არ იყო; ქ-ნმა ემბერმა ამ ექსპერტზედაც გავლენა იქონია. ქ-ნ ემბერს კატოი და ამისი წინანდელი ადვოკატი, იუსტიციის ეხლანდელი მინისტრი ვალე იმიტომ სძულს, რომ ქ-ნ ემბერის უსინიდისო ქცევა იმათ გამოააშკარავესო. ამ.ს შემდეგ ადვოკატმა გააბა და ისე დაწვრილებით ილაპარაკა კატოისა და ემბერების საქმეზე, რომ საზოგადოება ხმა მაღლა უკმაყოფილებას აცხადებდა.

რუსოს შემდეგ ემბერების ადვოკატმა რობერმა ილაპარაკა. რობერი ამტკიცებდა: ამ პროცესში ნამდვილი ბრალდებული მევახშე კატოია და არა ქ-ნი ემბერი, იუსტიციის მინისტრიც, არ მგონია, კაი გუნებაზე იყოსო. რობერის შემდეგ ემბერების მეორე ადვოკატმაც ორიოდე სიტყვა სთქვა და მერე სასამართლომ დაადგინა, განაჩენს ერთის კვირის შემდეგ გამოვაცხადებთო.

მთელი პარიზი ამ პროცესზე ლაპარაკობდა. საზოგადოება თან-და-თან ქ-ნ ემბერის მხარეს გადავიდა. კატოიმ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე: ნამდვილი მევახშე ყოფილაო,—ამბობს ხალხი. ეხლა ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ სასამართლო გაამართლებს ქ-ნ ემბერსაო; ასევე გათავდება ემბერების დიდი საქმეცაო. კატოი ისე შეჰძაგრდა საზოგადოებას, რომ იმისს წინანდელ დამცველ, იუსტიციის ეხლანდელ მინისტრ ვალეზედაც კი გული აიყარა. ნაციონალისტების გაზეთებსაც ეს უნდოდათ. ესენი ამტყუნებენ ვალეს, რატომ სასამართლომ მაშინვე არ მიიღო ქ-ნ ემბერის საჩივარი კატოიზეო (ქ-ნ ემბერმა ეს საჩივარი რომ შეიტანა, ვალე იმის შემდეგ აირჩიეს იუსტიციის მინისტრად).

როგორც გუშინდელ დეპეშაში ეწერა, ქ-ნი ემბერი თითონ პროკურორის წინადადებით გაუმართლებია სასამართლოს.

✦ ნაციონალისტებმა გაზეთებში გაკიცხვა არ აკმარეს და დეპუტატთა პალატაშიაც გაილაშქრეს იუსტიციის მინისტრ ვალეზე.

ნიჭიერმა ნაციონალისტმა დეპუტატმა ბინდერმა გამოაცხადა 31 იანვარს პალატაში: კატოის რწმუნებულად ნამყოფს და იუსტიციის მინისტრს ვალეს ემბერების საქმეზე უნდა შევეკითხოთ. ბინდერმა სთქვა: „ჩვენთვის დიდი ხანია გამოირკვა ეხლანდელ სამინისტროს პოლიტიკური ზნეობა. ამ სამინისტროს ისეთი თავმჯდომარე ჰყავს, როგორიცაა ორპირი კომბი (მარცხენა მხარე პროტესტს აცხადებს, დეპუტატები უყვირიან: „რიგიანად მოიქეცით"!). ამიტომ სულაც არ გაგვკვირვებია, როცა კატოი-ემბერების საქმის გარჩევის დროს უმაღლესს პოლიტიკურ მოღვაწეების სამარცხვინო ქცევა გამოაშკარავდა." მარცხენა მხარემ ხელ-მეორედ ძლიერი პროტესტი გამოაცხადა; კომბი, ვალე და სხვა მინისტრები დარბაზიდან გავიდნენ. პალატაში ხმაურობა ასტყდა. სხდომის თავმჯდომარემ ვიცე-პრეზიდენტმა ლოკრუამ მოითხოვა, ბინდერმა ბოდიში მოიხადოსო. ბინდერი დასთანხმდა. კომბი და ვალე დარბაზში დაბრუნდნენ. ბინდერმა განაგრძო: „უმეტესობა თავის მეთაურებად საეჭვო და შერცხვენილ კაცებს ირჩევს. ეს სულაც არ მიკვირს (მარცხენა მხარე ძლიერ პროტესტს აცხადებს). იმედი მაქვს, იუსტიციის მინისტრი თავს იმართლებს და ამ ბრალს აიყრის." პალატამ აღარ მისცა ნება ბინდერს ლაპარაკი განეგრძო და ლოკრუას წინადადებით ორატორს ლაპარაკი სულაც აუკრძალა. ბინდერმა უარი სთქვა, ტრიბუნიდან არ ჩამოვალო, ამი-

ტომ ლოკრუამ სხდომა შესწყვიტა. როცა სხდომა ხელ-მეორედ დაიწყო, ვალემ მოითხოვა, ბინდერის ინტერპელაციის გარჩევა გადაიდვასო; პალატამაც მინისტრის თხოვნა შეასრულა.

✦ ცნობილმა ჟურნალისტმა კორნელიმ „ჟურნალ დე ჟენევ“-ში დრეიფუსის საქმეზე წერილი დაბეჭდა. კორნელი ამტკიცებს, რენის პროცესის დროს ადვოკატებისა და თვით თავმჯდომარის დაუკითხავად, მოსამართლეებს ნამდვილად უჩვენეს საიდუმლო დოკუმენტიო (ბორდერო ვითომ იმპერატორ ვილჰელმ მე-II წარწერებით).

ესპანია. კატალონიაში, ბოლოს დროს, მუშებმა ბევრი გაფიცვა მოახდინეს. ეს გაფიცვები ჯერაც არ გათავებულა. ეხლანდელ პირველ მინისტრს სილველას ეთქვა ესპანიელ ჟურნალისტებისთვის:

„გაფიცვები ესპანიაში შრომისა და კაპიტალის ბრძოლამ გამოიწვია. ასეა მთელს ევროპაში. ამას გარდა ესპანიაში ანარქისტებიც ძლიერ აღელვებენ მუშებს. მთავრობა, რაც კი შეიძლება, ეცდება შრომა და კაპიტალი მოარიგოს და შეათანხმოს. ანარქისტების წინააღმდეგ კი მთავრობა ძლიერ სასტიკ ღონისძიებას მიიღებს“. პირველ მინისტრს დაემატებინა: კადიკსში მარტო მარილის ქარხნებშია გაფიცვა, პროვინციებში ხალხი მაინც ძლიერ აღელვებულიაო.

სან-ფერნანდოში ნოქრებმა გამართეს გაფიცვა. ბევრი მაღაზია დაიკეტა; ყველგან ჯარია დაყენებული. კორონიაში მუშები ძლიერ აღელვებულნი არიან; თითქმის ყველანი გაფიცულან. სტამბის მუშებიც გაიფიცნენ, გაზეთები ვეღარ გამოდიან. აქაც ჯარები ჰყავთ დამზადებული. ბარცელონაშიაც ძლიერ აღელვებულია ხალხი. თუმცა ამას წინად საყოველთაო გაფიცვის გამართვა ვერ მოახერხეს, მაინც მუშების 22 საზოგადოება კრებას მოახდენენ და საიდუმლოდ გადასწყვეტენ, როგორ მოიქცნენ.

ახალი ამბავი

✦ დღეს საბჭოს დარბაზში **ხმოსანთა კერძო კრება** დანიშნული ქალაქის სამოურავოდ კანდიდატების დასასახელებლად.

✦ როგორც ვწერდით, მალე **ხონში** საბჭოს ხმოსანთა არჩევნები უნდა მოხდეს. სულ ამ ქალაქში 543 ამომრჩეველია. აქედან 232 ქართველია, 225 რუსი და 86 ბერძენი და სომეხი.

✦ მთავრობას განუზრახავს ყოველ გუბერნიაში ან რამდენსამეში ერთად **სააფთიაქო საქონლის საწყობები** დააარსოს, რომ აქედან დაურიგდეს სოფლის საავადმყოფოებს წამლები და სხვა სააფთიაქო საქონელი. ამ გზით ხარჯების შემცირება უნდა მთავრობას და ამის შესახებ გუბერნატორებს ეკითხებიან, გვაცნობეთ რამდენად შესაძლებელი იქნება ამისთანა საწყობების გამართვაო.

✦ ინჟინერ კირაკოსოვის მოხსენება ტფილისში **ქალაქსგარეშე საქალაქო** აშენების შესახებ კომისიას მოუსმენია და უსახელო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი პირობანი ქალაქისათვის ხელ-საყრელად უცვნია.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს 1901 წელს ამერიკიდან გამოუწერია იაფური **ბამბის თესლი**. ამ თესლისა ყარაიასის მინდვრებში დასათესად გამოუგზავნია სამინისტროს. შესანიშნავია, რომ 1901 წელს გამოწერილი და ამერიკიდან წამოსული თესლი მხოლოდ ეხლა მოვიდა ადგილამდე.

✦ თურქისტანში **ბამბის თესლი გაძვირებულა:** წინად ფუთი იყიდებოდა თოთხმეტ შაურად და ახლა-კი ფასი ექვს აბაზამდე ასულა. ამიტომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ ამ თესლის შესაძენად გადადებულ ფულით იმდენი თესლი არ შეუძლიათ იყიდონ ხალხისათვის დასარიგებლად, რამდენისაც იმედი ჰქონდათ.

✦ „წიგნების გამომც. **ქართველთა ამხანაგობა**“-ს განსაკუთრებული ექიმი მოუწვევია ამ ამხანაგობის სტამბაში მომუშავეთა საექიმოდ. ექიმი კვირაში ორჯელ მივა სტამბაში და, თუ საჭიროება მოითხოვს, აქ მომუშავეთ ექიმობით დახმარებას აღმოუჩენს. მუშებისათვის ექიმობა და წამალი უფასო იქნება.

✦ „ტფ. კრუჟოკ“-ი აქამომდე აძლევდა ფულით შემწეობას **სავაჭრო სკოლებს**. ეხლა-კი „კრუჟოკ“-ის საბჭოს ამ შემწეობაზე უარი უთქვამს.

✦ გუშინ, 10 თებერვალს, მომრიგებელმა მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი **ნ. ბუდაგოვ-ბაღდასაროვის საქმის გამო**, რომელსაც სამეურნეო პოლიციის ზედამხედველი ცილის დაწამებას უჩიოდა. მოსამართლემ ბუდაგოვ-ბაღდასაროვი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

✦ **ხიდების ფერშლებს** საგზაო ფულად ეძლევათ ყოველ თვიურად ნმანეთი. როგორც გვითხრეს, საექიმო სამმართველოს განუზრახავს ეს ფული ფერშლებს გაუორკეცონ.

✦ ახალგაზდა **ექიმებს საგზაო ხარჯად** სამი ცხენისას აძლევენ. ეხლა საკონტროლო პალატა ამტკიცებს, რომ სანამ ექიმი ჩინებში არ იქნება დამტკიცებული, ორი ცხენის უნდა ეძლეოდესო. საექიმო სამმართველო კი თავისას ამტკიცებს, ამ ექიმებს 3 ცხენისა უნდა ეძლიოთ საგზაო ხარჯიო.

რუსეთის ქრონიკა

✦ სატახტო ქალაქის გაზეთებში ვკითხულობთ: „2 თებერვალს ფინანსთა მინისტრმა მიიღო პეტერბურგის სამრეწველო დაწესებულებათა მუშები, რომელთაც თავიანთ საქმეების გამო მოითხოვეს მინისტრთან მოლაპარაკება. ასეთი საქმეებია: მუშათა შორის კაცების არჩევა ქარხნების პატრონთა და მუშათა ურთი-ერთობის განსაწესრიგებლად, საავადმყოფოსა და შემნახველ კასსების დაარსება და სხვ. მინისტრმა მოუსმინა მუშებს და უთხრა, „მშვიდობიანად და ნდობით მოუცადეთ სამინისტროს მიერ ამ მხრივ დაწყებულ მუშაობის დამთავრებას. მხედველობაში იქონიეთ, რომ მთავრობა ყოველთვის ყურადღებით ეპყრობა როგორც თქვენს, ისე სხვა კლასთა საჭიროებებს. მუშათა მიერ აღძრულ საქმეების გადასაწყვეტად და ცხოვრებაში განსახორციელებლად დროა საჭიროო“.

✦ წარსულის წლის პირველ დეკემბერს გაძლიერებულ დაცვის დებულებას ვადა გაუვიდა სამარასა, ვიტებსკსა, დვინსკსა, კიშინევსა, იაროსლავსა და რიგაში. ამ საქმეებში ისევ ჩვეულებრივი წეს-რიგი შემოიღეს. გაძლიერებულ დაცვის დებულება ერთის წლის ვადით კიდევ განაგრძეს შემდეგ ადგილებში: ვილენის გუბერნიასა, პოლტავასა, სარატოვსა, მოგილევსა, გომელსა, მინსკსა, ბელოსტოკსა, ნიჟნი-ნოვგოროდში; მაზრებში: პოლტავისა, კონსტანტინოგრადისა, პერეიასლავისა, ლუბენისა და კრემენჩუგისაში. ამავე დროიდან გაძლიერებული დაცვა ახლად შემოიღებულ იქმნა სარატოვის გუბერნიაში.

✦ უკვე შეიმუშავეს პროგრამა პიროგოვის სახელობის მკურნალთა მე 9 კრებისათვის. ბევრი საყურადღებო საგანია მოქცეული ამ პროგრამაში. აი ასეთი საგნები: სანიტარულ წესების შემოღება ქარხნებში; სამუშაო ფასი მუშებისა; ავადმყოფობა და სიკვდილი მუშებისა ქარხნებში; მუშების სწავლა-განათლების საქმე; უზრუნველ ყოფილობა მუშებისა ავადმყოფობისა და სიბერის დროს და სხვ. პროგრამმა გლეხთა მდგომარეობასაც ვრცლად ეხება.

✦ რუსეთის სამხატვრო აკადემია ჰფიქრობს მოძრავ სახალხო სამხატვრო გამოფენის გამართვას. ამისათვის განსაკუთრებული გემი იქმნება მოწყობილი, რომელიც ვოლგაზე ივლის და ნაპირად მდებარე ქალაქებში გაჩერდება.

✦ რკინის გზებზე ჰფიქრობენ განსაკუთრებულ სკოლების დაარსებას. ამ სკოლებში ერთის წლის კურსი იქნება. ოთხ თვეს მოსწავლენი რკინის გზის სადგურებში პრაქტიკულ მუშაობას მოანდომებენ.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. კვირას, დილას გამართული წარმოდგენა განსაკუთრებით საყმაწვილო წარმოდგენა იყო, რადგან მთელი თეატრი თითქმის მარტო მოსწავლე ყმაწვილებით იყო სავსე. როგორც გავიგეთ, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ყველა სასწავლებელს ურიგებს კარგად ბლომად მუქთ ბილეთებს. რასაკვირველია, ეს კარგი საშუალებაა, რომ საზოგადოება მიაჩვიოთ დილის წარმოდგენებს.

„პეპო“ თუმცა დაძველდა უკვე და ქართულ თეატრში იშვიათად უნდა ვხედავდეთ, მაგრამ სპეციალურად შაგირდების ან მდაბიო ხალხისათვის გამართულ წარმოდგენაში მას საპატიო ადგილი ექნება ყოველთვის დათმობილი: მარტივი პიესაა, დედა-აზრი მკაფიოდ არის გამოთქმული და მომქმედი პირები მეტად აშკარად და ნათლად არიან დახატულნი.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ. ჩერქეზიშვილისა, ბბ. აბაშიძე, გედევანოვი, გამყრელიძე და აწყურელი და კარგათაც თამაშობდნენ. „პეპოს“ ტიპებს პირადად იცნობენ ჩვენი აქტიორები და მათი სცენაზე დახატვა ძლიერ ეხერხებათ.

ახალგაზდა მაყურებლებს, ეტყობოდათ, მოეწონათ პიესაც და მოთამაშენიც. ყველაზე უფრო იზიდავდა მათს ყურადღებას ბ. აბაშიძე (ზიმზიმოვი) და ბ. გედევანოვი (გიქო).

—

ხუთშაბათს უკანასკნელი წარმოდგენაა ამ სეზონში. სამწუხაროთ და უდროოდ თავდება წრევანდელი სეზონი.

ხუთშაბათს დანიშნულია ბ. გუნიას ბენეფისი, ჩვენის სცენის დაუღალავის და მრავალფეროვანის მუშაკისა. ბ. გუნია არ არის ჩვენის სცენისათვის არც ვ. აბაშიძის და არც ვ. მესხიშვილის ნიჭის პატრონი მსახიობი. მაგრამ თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ იგი ქართულ თეატრის ერთი ბურჯთაგანია. დაუღალავად ემსახურება ბ. გუნია სამშობლო სცენას როგორც აქტიორი, როგორც რეჟისორი, როგორც მთარგმნელი და გადმომკეთებელი პიესებისა. მისი მოღვაწეობის ასპარეზი მარტო ტფილისით არ არის შემოფარგლული. მას იცნობს და აფასებს ჩვენი პროვინციაც, სადაც მისის მეთაურობით არა ერთხელ გამართულა ქართული წარმოდგენა.

სავსებით დაიმსახურა ბ. გუნიამ ის პატივისცემა, რომელიც საზოგადოებას აქვს მისდამი, და ვუსურვებთ, რომ დღევანდელსავით მხნედ და იმედებით ალსავსე განაგრძოს თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. **ბ.**

—

სახალხო წარმოდგენა ავლაბარში. კვირას, 9 თებერვალს, ავლაბრის სახალხო თეატრში გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს აკაკის დრამა „მეტარა კახი“. პიესამ სუსტად ჩაიარა და არც საკვირველია. ასეთ ძნელ პიესის

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

(გაგრძელება)

თუ წარსულ წელს ინგლისელებს არც საგარეო, არც შინაგან პოლიტიკაში დუშაში არ მოსდიოდათ, მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების ასპარეზზე ხომ უფრო ნაკლები წარმატებაც ჰქონდათ.

რიგიანი, კეთილსინიდისიერი, სპეციალური შრომა, რასაკვირველია, წარსულ წელსაც ცოტა არ იყო, მაგრამ ისეთი შრომა კი, რომ ახალი რამ შეეტანოს მეცნიერებაში, ან სინათლე მოეფინოს ჯერ გამოურკვეველ საგნისათვის, ამისთანა შესანიშნავი შრომა კი, მოხუცებულ ფილოსოფოს სპენსერის წიგნისა და გამოკვლევა: „ერთმანერთის დახმარება, როგორც ევოლიუციის ფაქტორი“-ის გარდა, სხვა არა ყოფილა-რა.

სპენსერის წიგნიც, სწორედ რომ ვსთქვათ, სისტემატიურად გამოცემული შენიშვნები და ფიქრებია საევოლიუციო ფილოსოფიის შემქნელისა. ამ წიგნში არც ერთი ახალი სამეცნიერო, ან ზნეობრივი განსაზოგადოება არ იპოვება. მაგრამ დიდ მეცნიერის შენიშვნებში იმდენი სწორე და ღრმა აზრია გამოთქმული საზოგადოებრივ ცხოვრებასა, მუსიკასა და ლიტერატურაზე, რომ ამ წიგნმა ჟურნალები და გაზეთები აალაპარაკა. ამ წიგნში ნამეტნავად იმ ფურცლებს მიაქციეს ყურადღება, სადაც ინგლისის საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ განვითარების დაცემაზეა ლაპარაკი. უზნეო ლიტერატურა, ფიზიკურ ვარჯიშობითა, დოღებითა და ნადირობით გატაცება გონებით განვითარების საზარალოთ, მილიტარიზმის ბატონობა და საფინანსო და საზოგადო საქმეებში—მტაცებლობა—ყველაფერი ეს არწმუნებს განთქმულ მოხუცს, რომ თანამედროვე თაობა ბარბაროსობის დროის აზრებსა და ზნეს უბრუნდებაო. „ხალხი ისევ ბარბაროსდება!“—აი ასეთი საშინელი ბრალი დასდო ფილოსოფოსმა თავის თანამედროვეებს...

წარსულ წლის მეორე შესანიშნავი წიგნი—„ერთმანეთის დახმარება, როგორც ევოლიუციის ფაქტორი“—ინგლისურადაა დაწერილი, მაგრამ უცხოელს ეკუთვნის (რუსის მეცნიერის პ. კრაპოტკინის დაწერილია). ეს იმ ჯურის წიგნია, რომ იმის სათაურიც კი ბევრს ისეთს აზრსა ჰბადებს, რომელიც აცოცხლებს და აკეთილშობილებს კაცსა. კიდევაც, ამ უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში მეცნიერები, პოპულირზატორები და პუბლიცისტები სულ ერთთავად იმას გვიქადაგებდნენ, ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებაში, მაშასადამე კაცობრიობის ცხოვრებაშიაც, პროგრესი მარტო იმის წყალობით ხდება, რომ არსებობისათვის ბრძოლა სწარმოებს და ძლიერები სუსტებს სჭამენ და სწყვეტენო. ამ აზრებს ყოველთვის მეცნიერებაზე აფუძნებდნენ და დაჩაგრულთა და სუსტთა დიდებულ მეგობრის გულ-კეთილ დარვინის სახელს აფარებდნენ, მაგრამ „ერთმანერთის დახმარების“ ავტორი გვიჩვენებს, თითონ დარვინიც აღიარებდა, რომ პირუტყვთა ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სიყვარულს, ერთმანერთის დაცვასა და თანხმობასაო და თუ დარვინმა არსებობისათვის ბრძოლის კანონი გამოიკვლია დაწვრილებით, ამით სულაც არ უარ-ჰყო ერთმანერთის დახმარების პრინციპი, როგორც საერთაშორისო და საზოგადოებრივ ძალ-მომრეობისა და მტაცებლობის დამცველნი არწმუნებდნენ საზოგადოებასაო.

ამ წიგნს კრიტიკა დიდის ქებით მიეგება. „ეს წიგნი საზოგადოებრივ აზრს ასუფთავებს, ზნეობას აცოცხლებს და აცისკროვნებსო“, სთქვეს სამეცნიერო ჟურნალებმა. ეს გაზვიადებული როდია. წიგნი ნამდვილად იტაცებს მკითხველს. ავტორი მეცნიერია, დარვინისა და ლამარკის მიმდევარი და ამავე დროს ჟან-ჟაკ რუსოს ტიპის ჰუმანისტიცაა. ამ წიგნის შინაარსი მეტად კარგადაა გადაცემული ბ-ნ დიონეს ორ წერილში რუსულ ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვო“-ში: 1902 წლ. № 11 და 12.

მაგრამ ვიმეორებ, თუმცა ეს წიგნი ინგლისში გამოვიდა და ინგლისურ ენაზეა დაწერილი, მაგრამ უცხოელ კაცს ეკუთვნის. მაინც ჩვენს დროში ინგლისში მეცნიერებისა, ხელოვნებისა, ინდუსტრიისა, ფინანსებისა და თვით პოლიტიკის ასპარეზზე უცხოელებს თვალ-საჩინო ადგილი უჭირავთ. განთქმული ფილოლოგი მაქს მიულერი გერმანელი იყო; მხატვარი ალმა ტადემა—ჰოლანდიელია; სკულპტორი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდნენ უკანასკნელ გამოფენის დროს, რუსის ურიაა, გვარად ცეიტლინი, ქალ ტფილისიდან; განთქმული კაპელმეისტერი სუზა ამერიკელია; სხვა მემუზიკეები და მომღერლები—ფრანგები, იტალიელები, გერმანელები, ან ჩეხები არიან. ტრანსვაალის ოქროს და ბრილიანტის მადნების ფინანსისტები და მოღვაწეები—საერთაშორისო კაპიტალისტების ამხანაგობას შეადგენენ; ესენი ყოველნაირ ეროვნებისანი არიან; ამათი პოლიტიკური წარმომადგენელი, ლორდ მილნერი გერმანელია; სააქციონერო კამპანიების და ტრესტების დამაარსებელნი — ამერიკელები არიან... ერთის სიტყვით, ყველაფერ საქმეში უცხოელები აქ თან-და-თან უფრო დიდს როლს თამაშობენ. ამას თითონ ინგლისებიც ამბობენ. მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ეხლა კი ისევ ჩვენს მიმოხილვას დავუბრუნდეთ.

წარსულმა წელმა რომანსა და საზოგადოდ სიტყვა-კაზმულ მწერლობასაც კარგი ნაწარმოები ცოტა შესძინა. ყველაზე ბევრს გოლ კენის რომან „საუკუნო ქალაქზე“ (რომი) ლაპარაკობდნენ. რომანი იმ სენსაციონურ სტილზეა დაწერილი, რომელიც ამ უკანასკნელ 15—20 წლის განმავლობაში გაბატონდა ინგლისში. დიკენსისა, ჯორჯ ელიოტისა და ტეკერეის საუკეთესო ტრადიციები, რასაკვირველია, ეხლაც დაცულია: ტომას გარდისა, გუმფრეი ვორდისა, ან მოხუცებულ მერიდიტის რომანებში ეხლაც სიმართლე სჭქეფს, ეს რომანები სავსენი არიან ცხოვრებისა და ხასიათების საღის ანალიზით; მაგრამ ეხლა იმ რომანისტებს აქვთ მეტი გასავალი, რომლების გმირები ყოველ ნაირ განსაცდელში ვარდებიან, იღუპებიან და ბოლოს ისევ მკვდრეთით სდგებიან; ყოველ

წარმოდგენა სუსტ სცენის მოყვარეთ არ ძალუძთ და არც უნდა დაუდგათ იგი. მთავარ როლებს ასრულებდნენ ხამები და პირველად სცენაზე გამოსულნი. ამას გარდა ეს მეორედ მოატყუეს თეატრში მოსიარულენი: აფიშებზე გამოაცხადეს პირველად ქ. ახდრონიკაშვილისა და მეორედ—გ. კამერილიძე, რომ მათის მონაწილეობით უნდა გამართულიყო წარმოდგენა, მაგრამ, სამწუხაროდ, სცენაზე ვერც ერთი ვერა ვნახეთ. წარმოდგენა გათავდა პირველ საათზე.

შაბათს, 15 თებერვალს, იგივე სცენის მოყვარენი აპირებენ წარმოდგენის გამართვას. წარმოდგენილი იქმნება მელოდრამა „პარიზის დარიბ-დატაკნი!“

—

კვირას, 9 თებერვალს, ავლაბრისავე სახალხო თეატრშივე დილის წარმოდგენა გაიმართა. წარმოადგინეს სომხურად ვალერიან გუნიას „და-ძმა“. რაც შეეხება სცენის მოყვარეთ, კარგად ჩაატარეს პიესა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღევანდლამდე თუ კარგად მიჰყავდათ სცენის საქმე, დღეის შემდეგ უფრო გაგრძელდებიან და კარგად მოაწყობენ საქმეს.

—

ასით-ამწყობნი მომავალ კვირას რუსულ-ქართულ წარმოდგენასა ჰმართავენ ზუბალოვის თეატრში. რუსულად წარმოადგენენ აკინფიევის ოთხ-მოქმედებიან პიესას „Въ чаду“, ქართულად-კი ცაგარლის ორ-მოქმედებიან ფარსს „ზიმზიმო“. ანტრაქტებში სამხედრო მუსიკა დაუკრავს. ბილეთები ისყიდება „ქართვ. ამხანაგობის“ კიოსკში ალექსანდრეს ბაღის კუთხეში; წარმოდგენის წინა დღესა და წარმოდგენის დღეს-კი—თეატრის კასაში. წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე.

ფოთის ქალაქის საბჭო

7 თებერვალი

ოქმის წაკითხვის შემდეგ კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავის მოადგილე ი. ს. ფანცხავა, მოხსენდა იმ მისალოც დეპეშის შინაარსი, რომელიც გამგეობის მიერ გაგზავნილი იყო გაგრაში, პრინცის ალ. პ. ოლდენბურგსკის სახელზე გაგრაში საკლიმატო სადგურის გახსნის გამო. დეპეშის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს გააცნობა აგრეთვე პრინცის მიერ გამოგზავნილი პასუხიც.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა სამკურნალოს მთავრად ნამუშევის უგანათლ. თავადის ნიკოლაძის დავითის ძის გარდაცვალება. ამაზე თავმჯდომარემ მოახსენა კრებას: „რადგან განსვენებულსა და მის წინაპრებს დიდი სამსახური მიუძღვის ქალაქის წინაშე, ამისათვის გამგეობამ საგანგებო კომისიასთან ერთად დაადგინა: მთავრად ნამუშევის გვამის მოსვენების დღეს, 2 თებერვალს, ახალ სენაკში დეპუტაცია გაეგზავნა და მისი კუბო გვირგვინით შეემკო. ეხლა კი, რასაკვირველია, შევასრულეთ და ეხლა ვთხოვ საბჭოს განსვენებულის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს“. საბჭომ ესეც შეასრულა. კრებას მოხსენდა ის ცნობა, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის მოურავის ამხანაგობაზე ნ. ი. ნიკოლაძე და გამგეობის წევრად დ. მ. ერისთავი. განხილულ იქმნა საგუბერნიო სამმართველოს ქაღალდი იმის შესახებ, თუ რა აზრისაა ქალაქი აზოვ-დონის კომერციულ ბანკის განყოფილების გახსნის თაობაზე. გამგეობას ეს კითხვა საფინანსო კომისიისათვის გადაეცა განსახილველად და ის აზრი გამოუთქვამს, რომ თუმცა პრინციპიალურად წინააღმდეგი არა ვართ ამ ბანკის განყოფილების აქ გახსნისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ფოთში ნაადრევად მიგვაჩნია მისი დაარსება, რადგან აქ არ მოიპოვება მცხოვრებთა საკმაო რიცხვი დასავით სავაჭრო დაწესებულებანი, რომლითაც ბანკმა უნდა იხეიროს. ამ კითხვამ საბჭოში დიდი კამათი გამოიწვია. სამიოდ ჯობე გასქელებულ ხმოსნების გარდა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ჯერ ადრეა ფოთში სხვა ბანკის გახსნა, რადგან აქ მისი წარმოების გასაძლიერებლად საკმაო ნიადაგი არ მოიპოვება. რომ ეს ცხადია, ამბობდნენ ხმოსნები, ამას გვიმტკიცებს ის მაგალითი, რომ აქ ერთად-ერთი ადგილობრივი საურთიერთო ნდობის საზოგადოების საკრედიტო დაწესებულებაც კი ვერ ჰპულობს იმდენ საადებ-მიმცემო საშუალოს, რომ მისი მოქმედება გაადიდოს და იხეიროს. ბოლოს საბჭომ ამ კითხვას კენჭი უყარა. კენჭის ყრაში ზემო აღნიშნულ სამ ხმოსნის მონაწილეობა არ მიუღია. ხოლო დანარჩენმა უმრავლესობამ წინააღმდეგ ერთი ხმისა, ის აზრი გამოთქვა, რომ აზოვ-დონის კომერციულ ბანკის განყოფილების გახსნა ფოთში ნაადრევია, რადგან მისი არსებობა ქალაქის მკვიდრთა რაოდენობას და ადებ-მიცემობას არ შეეფერება.

განხილულ იქმნა დაუბოლოვებელი საკითხი, ატეხილი ადგილობრივ ვაჭრებსა და ნოქრებ შორის. რამდენიმე ხმოსან ვაჭრების წყალობით ნოქრებს არ ეძლევათ თავისუფლება, თუმცა თვით საბჭომ და ცალკე არჩეულმა კომისიამ რამდენჯერმე შეიმუშავა ნოქრების სასარგებლოთ კვირა უქმე დღე მოსვენების პროექტი. როგორც მოსალოდნელი იყო, ზემოხსენებულ ხმოსნებს დარჩათ გამარჯვება და საბჭომ, ნაცვლად ძველის დადგენილებისა, გაიღოს საჭიროდ მაღაზიები კვირა-უქმე დღე 12—3 საათამდის, ახლად დაადგინა: ორი საათი კიდევ მოუმატოს კვირა-უქმე დღე ნოქრებს მუშაობა!

საბჭომ განიხილა გამგეობის მიერ წარმოდგენილი შურისა და ხორცის ნიხრი, რომელიც მცირე ოდენი ცვლილებით დაამტკიცა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენ მეუსპეებზე არავითარი ნიხრის გაწესება არ მოქმედობს, რადგან მეტად ადვილ წაშვებულად იქცევიან.

დასასრულ საბჭოს უნდა განეხილა მოხსენება ქალაქის უძრავ მამულების დასათვსებელ დასაკეცმ კომისიისა, მაგრამ რადგან ამ კითხვის განხილვა საბჭოში ზედ მეტ ხმოსანთა რიცხვს თხოულობს, რომელიც ხშირად არ ესწრება, ამისათვის შემდეგისათვის გადადეს. ამაზე ხმ. გ. მიქაბერიძემ შემდეგი საყურადღებო განცხადება მოახსენა საბჭოს: „რადგან დასათვსებელ და დასაკეცმ ადგილების პატრონთ ხშირად რამდენიმე თვეობით უცდიანთ თავიანთი თხოვნის პასუხი და ამით ისინი უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან, იმიტომ რომ საბჭოში ხმოსანთა საკმაო რიცხვი დრო გამოშვებით იკრიბება, ამისათვის საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმითი, რომ ასეთი თხოვნები შემდეგში პირველად იქმნას კრებაზე განხილული.

ი. ბანდოვიძე

დაბა-სოფლები

—

ოზურგეთი (გურია). დადგა 1903 წელი და ჩვენმა „მამებმა“ დაიწყეს ზარმაცობა. იანვარში ორჯელ იყო დანიშნული კრება, მაგრამ არც ერთხელ არ შემდგარა, რადგან საკმაო რიცხვი ხმოსნებისა არ გამოცხადდა. ნეტა რა უშლის ხელს ჩვენს მამებს, კრებაზე რომ არ დადიან? ამბობენ, სიცივისა ეშინიათო, მეტადრე დამე (ეს ერთი თვეა აქ მუდამ თოვლი და წვიმაა). შემდეგი კრება ექმნებათ, როგორც შევიტყეთ, 24 ამა თებერვალს. ვნახოთ მაშინ მაინც მობრძანდებიან თუ არა ჩვენი ხმოსნები! ამ ბოლოს დროს ოზურგეთში გავრცელდა ქუნთრუშა; ჯერჯერობით 4—5 ოჯახშია. როგორც შევიტყეთ, მაზრის ექიმს უკვე მიუღია ზომები; სხვათაშორის, აბეჭდვინებს განცხადებებს ქუნთრუშასთან ბრძოლის შესახებ ხალხში დასარიგებლად. ოზურგეთში ვაჟ-ხანა არ იყო ამდენ ხანს და ეხლა მოაგვარდა ღმერთმა და კი ეს გავიხსნა. ამ ვაჟ-ხანაში მუდამ თამაშობენ ბანქაობას და სხვას, რითაც ფული წაიგება; ურველ დამე იქა ჰნახავთ 30—40 კაცს. 19 წლის ახალგაზრდებიც-კი შედიან შიგ და თამაშობენ.

5 თებერვალს ოზურგეთში ორი გერმანელი თოვლი მოვიდა, ამ ვამად-ყინვა და სიცივე; გაძვირდა შეშა და სოფლიდან შემოტანილი სანოვაგე: კვერცხი, ქათამი და სხვა. Pean

—

სამტრედია (იმერეთი). დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ასეთი სუსხიანი ზამთარი არა გვწვევია, როგორც წელს. წლევანდელმა ზამთარმა ძლიერ შეაწუხა როგორც ხალხი, ისე საქონელი. საქონელს ჯერ სიცივე უმწარებს სიცოცხლეს, მერე საკვების უქონლობა. შემოდგომაზე კოკის-პირულად სწვიმდა, ამის გამო ხალხმა დროზე ვერ მოსჭრა ჩალა და ვერ მოახერხა სახლში მოტანა. არამც თუ საქონლის საკვები, კანადამ სიმინდიც დაულპათ ყანებში. უსაკვებობის გამო ბევრი ძლეხის შეძლებით გამოზრდილი ხარები ჩაუვარდათ კრიშის ფასად ხელში უსაბებს. 15 ოქტომბრიდან კოკისპირულად წვიმდა იანვრამდის. 9 იანვარს გვეწვია თოვლი; სთოვდა 15-მდის, დასდო ½ არშინზე მეტი. 15-დან 20-მდის დაიჭირა საშინელი ყინვები და მერმე დაიწყო ისევ წვიმა. წვიმამ, მართალია, თოვლი გაადნო, მაგრამ სამაგიეროდ ადიდდა წყლები, გაჩერდა წისქვილები, გაფუჭდა ისედაც უვარგისი გზები და შესწყდა მიმოსვლა. ეხლა ამას გარდა აუტანელი სიცივეა. თებერვალშიაც ისეთი ამინდებია, როგორც იანვარში იყო.

მიუხედავად ამ სიცივეებისა და უამინდობისა სამტრედიელი მეეტლეები მაინც თავისას არ იშლიან და წარა-მარა დაარბენინებენ ეტლებს აქეთ-იქით, რადგან ეხლა ორ წილ მეტ ფასს ახდევინებენ მგზავრებს. მაგრამ ვაი იმათი ცხენების ბრალი! ძლებისა და ტვავის მეტი აღარაფერი შერჩენიათ ამ საცოდავებს. ხშირად ცხენები რომ გედარ ახერხებენ სიარულს, მგზავრს შუა გზაზე სტოვებენ და თვითონ უკან ბრუნდებიან.

ხიდ. ვილიძე

სასამართლო

I

შუადღისას შუაგულ ქალაქში კაცის გამარცვა

მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან 17 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, მუშტაიდის ქუჩაზე, ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სადგომში, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დაეცნენ გლასოვს, რომელმაც ამ დღეს ბანკიდან მიიღო 15,750 მანეთი. ეს ფული გლასოვს გადაუხდევინებია წულობა და არტემ მარტიეველისათვის. გლასოვს ბანკში 12,000 მანეთის ჩეკი და 3000 მან. ფულად უბის ჯიბეში ჩაუდვია, ხოლო 750 მან.—პიჯაკისაში. ბოროტ-განმზრახველნი გლასოვს დაეცნენ ამავე ბანკის სადგომში, ძირს კიბეზე, წაართვეს 750 მანეთი, დასჭრეს თვით გლასოვი და გაიქცნენ. ხუთი კაცი შეუნიშნიათ. მათ შორის ორი სახე ახვეული ექვე მეჩექმეშვილის სარდაფში ჩასულა. ამას გარდა ერთ მოსამსახურეს ბანკში უნახავს მიხეილ მეჩექმეშვილი, რომელიც უკან გაჰყოლია გლასოვს, როდესაც მას ფული მიუღია.

ამ საქმის გამო 18 ივნისს პოლიციამ დაამატიმრა ხანის მცხოვრები მიხეილ მეჩექმეშვილი. გლასოვმა და ორმა მოსამსახურემ იცნეს იგი. შემდეგ დაპატიმრეს რაჭის მაზრის მცხოვრები ვასილ იაშვილი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, წულობა მარტიევს იცნობდა და იმისაგან გაეგო, რომ გლასოვს ფული უნდა მიეღო. გამოძიების დროს არც ერთს თავი დამნაშავედ არ უცვნიათ.

ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო გუშინ, 10 თებერვლისათვის. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო.

ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ბრალდებულთ, დამნაშავედ აღიარებთ თავს თუ არა.

მხრიდან ამ გმირებს ხაფანგებსა და მახეებს უგებენ, მაგრამ ისინი მაინც გამარჯვებულნი გამოდიან. ამისთანა რომანებში საჭიროა ამბავი და არა ანალიზი და ხასიათი, საჭიროა თავ-ზარ დამცემი საშინელება და სენსაცია და არა სიმართლე. სწორედ ამისთანა რომანებს ეკუთვნის „საუკუნო ქალაქიც“ თავის შეთქმულობით, საშინელ შურის ძიებით და გაქურ სიძულვილით. თუმცა კი სიმართლე უნდა ვსთქვათ, გოლ კეინის რომანი ნიჭიერადაა დაწერილი, მოთხრობა ცოცხალია და აღწერილობა ბრწყინვალე; მით მაინც რა დიდი განსხვავებაა ინგლისელ რომანისტის რომსა და ზოლას რომს შუა! ბერიკაც გრაფ ორლანდოს სურათი ისეთის შესანიშნავის ხელოვნებითა აქვს დახატული ზოლას, რომ მარტო ეს სურათი უფრო კარგად ახასიათებს იტალიასა და იმის წარსულ ბრძოლასა და გმირობას გარიბალდისა და მაძინის ბაირაღ ქვეშ, ვიდრე გოლის მთელი დიდი რომანი.

უკანასკნელ წლებში იბეჭდება ერთის მეტად ორიგინალურ მწერლის ვეელის მოთხრობები—ფანტაზიები. ეს მოთხრობები ნამდვილი უგზო-უკვლო ფანტაზიებია, მაგრამ ყოველთვის ჩვენის დროის ჭირსა და ბოროტს შეეხებიან. პლანეტების ურთი-ერთობაზე ოცნებობს, თუ მარსის მცხოვრებელთა დედა-მიწაზე მოსვლას გვიამბობს, —ავტორი გვიხატავს, თუ რა საშიშია გაძლიერებული მილიტარიზმი თავის ყოვლად შემმუსვრელ იარაღებით. ხან კიდევ კაცობრიობის ევოლიუციის მომავალს შედეგებს გვიხატავს და წინასწარმეტყველობს, კაცობრიობას ორ-ნაირი გადაგვარება მოელისო. მუქთა მჭამელთა კლასი ჯანით დაუძლურდება და ზნეობით დაეცემა; მუშები კიდევ სრულებით გადაგვარდებიან და მიწის ქვეშ ბნელში მცხოვრებ ნახევრად ბრმა მუშებად გადაიქცევიან; სისხლი გაუცივდებათ, თვალებში სიცოცხლე გამოელევათ; ქვესკნელიდან მარტო ღამ-ღამე ამოვლენ; ისიც იმისთვის, რომ გადაგვარებულ მუქთა-მჭამლების კლასს სისხლი გამოსწოვონ. ვეელის ოცნებაში კაცობრიობას მომავალშიაც ეხლანდელი წარმოების და მოხმარების წესები შერჩენია. უცნაური ოცნებაა, მაგრამ ამავე დროს მშრომელ ხალხის ეხლანდელი ცხოვრების გარემოების ძლიერი დაცინვაცაა.

დულის პაწია ნაწყვეტ-დიალოგებში უფრო მეტი ირონია და ნამდვილი სატირაცაა. ბ-ნი დული ამერიკელია და ჩიკაგოს ჟურნალებსა და გაზეთებში სწერს, მაგრამ აქაურ გამოცემებშიაც ისე ხშირად გადმოჰბეჭდენ ხოლმე იმის ნაწერებს, დულის პაწია წიგნები ისე მოსწონთ აქა და თითონ დულიც ისე ხშირად ლაპარაკობს ინგლისის ცხოვრებასა და საქმეებზე, რომ ძალა-უნებურად იმაზედაც უნდა ვსთქვათ რამე.

ბ-ნი დული (ფსევდონიმია) მეტის-მეტად ნიჭიერი მწერალია, ახალი და ორიგინალი მოვლენაა. დული ბრძენი პოლიტიკოსია და ქვეყნიერობის ამბებს შეერთებულ შტატების ნახევრად უვიც, მაგრამ თავისუფალ ხალხის თვალით იხილავს. იმისი სატირები—პაწია საუბარია მოგონილ მიკიტან პოლიტიკოსისა და იმის მუშტრებს შუა. საუბარი დაწერილია ხალხის ენით, ნახევრად უვიც კაცის შეცდომებიც კი დაცულია ამ საუბარში. მაგრამ ამ გადაჭარბებულ შარჟში იმდენი ჭკუა სჩანს, მოსაუბრეებს ისე ნათლად ესმისთ ადამიანის საქმეები, რომ დულის ფსევდონიმს ატლანტის ოკეანეს ორსავ მხარეს გაუვარდა სახელი. თავის ხალხისა და უცხოელების ნაკლულევანებას დული ერთნაირად დასცინის. იმის წერის მანერის ნიმუშად, რამდენსამე სტრიქონს ამოვწერ იმ საუბრიდან, სადაც ავტორი საფრანგეთსა და ინგლისს ახასიათებს.

„ფრანგები სუმბუქად იქცევიან პოლიტიკასა და ზნეობაში... ინგლისელებს ამიტომ არ უყვართ ფრანგები. ინგლისელებისა და ფრანგების საგარეო პოლიტიკას შუა ისეთივე განსხვავებაა, როგორც გამოუცდელ მოუხერხებელ ქურდსა და დახელოვნებულ გაოსტატებულ ქურდს შუა. ფრანგი იყიდის მთელ ტონა დინამიტს, ხუთ წელიწადს ჰხვრეტს ფოლადის კასას, მერე ააფეთქებს, ან ხელს მოიწყვეტს, ან ფეხს და დასახიჩრებული გაიქცევა ძვირფასის დავლით. ინგლისელი კი ფარისეველ მქადაგებლის ტანისამოსს ჩაიცვამს, ასაფეთქებელ ტყვიის მილსაც წაიღებს ყოველ შემთხვევისთვის და რაც კი კასაში ფულია, სულ ჩაიჯიბებს.

„საპარადო კარებში შემოდის ინგლისელი, ორსავ ხელში ის ფეროვანი მეფეები უჭირავს, რომლებმაც ხელწერილით დაუგირავეს თავიანთ სამეფოები. კარებში ინგლისელს დაეტაკება ფრანგი, რომელსაც კასის ფული მიაქვს.—„აქ რას აკეთებ?“ ჰკითხავს ინგლისელი. „მეზობელსა ვსცარცვავ“, უპასუხებს ჩვეულებისამებრ პატიოსნადა და ზრდილობიანად ფრანგი.—„აი, შე უსინიდისოვ“, ჰყვირის ინგლისელი.—„შენ რაღას აკეთებ აქა?“ ეკითხება ფრანგი.—„აქაურ მცხოვრებლების ზნეობას ვასწორებ,“—მიუგებს ინგლისელი და თან ერთ-ერთ მეფეს ეკითხება: „მართალს არ ვამბობ, როსტუს?“—დიახ, მართალს ამბობ; ეგ არის გაცდარიმდი, რაც შენ ჩვენში მოხველ, თორემ უკეთესი კაცი კი გავხდი.

ფრანგი ყოჩაღია!—შეჰნიშნავს დულის მოსაუბრე... თუ ინგლისს საფრანგეთთან ომი მოუვა, მე საფრანგეთის მხარეს დავიჭერ (ფაშოდის დროსაა დაწერილი)—ჰმ! საფრანგეთის მხარეს დაიჭერ? რატომ, მეც კი აღვილად დავივიწყებ, რომ ჩამომავლობით ანგლო-საქსი ვარ და ფრანგებს მივუდგები.

ბ-ნ დულის შარჟი თითქმის ტლანქი და სულ უბრალოა, მაგრამ ამავე დროს რამდენი სიმართლე, ჭკუა და ისტორიისა და პოლიტიკის ცოდნაა ამ შარჟში! დიახ მისიონერები და მქადაგებლები კაპიტალისტებსა და მცარცველებს უკაფავენ გზას. ლივინგსტონის ადგილას სტენლეი და სესილ როდსი მიდიან.

მაგრამ ბ-ნი დული ამერიკელია და უკეთესი იქნება, ამაზე ცალკე ვისაუბროთ. ინგლისის წარსულ წლის საკუთარ ლიტერატურაზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ერთმა აქაურმა მიმომხილველმა სრული სიმართლე სთქვა: „წარსულ წელს ინგლისის ეროვნული შემოქმედობა უფერული და სენსაციონური იყო“.

ფრონტონელი.

(შემდეგი იქნება)

მიხეილ მჭედლიშვილი გამოტყდა და შემდეგი განაცხადა: ერთის კვირის წინად არტემ მარტიევი, რომელსაც გლასოვმა ჩამოართვა 15750 მან. და რომელიც ამის გამო გაჯავრებული უყვედს შემთხვევას ეძებდა, რომ სამაგიერო გადაეხადა, ჩამაცივდა მონაწილეობა მიიღე გლასოვის გაძარცვის საქმეში, როცა იგი 17 ივნისს საკრედიტო საზოგადოებიდან გამოიტანდა ფულს. მე არ დავეთანხმდი, მაგრამ 17 ივნისს იმან მაინც მოსვენება არ მომცა, ჩამიყვანა დუქანში და დამათრო ღვინით. შემდეგ წავედით საკრედიტო საზოგადოებაში, იქ დაგვხვდნენ ალექსანდრე ივანოვი და გრიგოლ ნიქოვანი (ეს ნიქოვანი ის პოდიცის აგენტია, რომელმა ბოქაულს ტერ-გრიქუროვს დახმარება გაუწია ერვიეს მოკვლისა და გაძარცვის საქმის მონაწილეთა აღმოჩენაში. როგორც აღნიშნული ვქონდა, ბრალდებულთ ერვიეს საქმეში ისიც განაცხადეს, რომ ნიქოვანმა თვითონ ჩაიდინა ეს სიბოროტე და ეხლა ჩვენ გვაბრალებსო). მე 10 საათზე მეგედი საკრედიტო საზოგადოებაში შესატყობად, იქ იყო თუ არა გლასოვი. გლასოვს ფულის მიცემას შეჰპირდნენ ნაშუადღევის 2 საათისათვის. ჩამოვედი ძირს და ეს ამბავი ჩემს ამხანაგებს შევატყობინე, შემდეგ პუშკინის ბაღში წავედით და იქ ვიცდიდით. დანიშნულ დროს მე მაღლა ავედი, საკრედიტო საზოგადოების კანცელარიაში, და როცა გლასოვმა მიიღო ფული და წამოვიდა ძირს, უკან გამოვყევი. კარებთან ორჯელ ჩაქუჩი დავკარტკი თავში, იმან ყვირილი შეჰქმნა და ჩვენ ერთი კაპეიკის წადებაც ვერ მოვასწარით, ისე გავიქეცით მენდანი. ნიქოვანი სტხოვრობს პოლიციის მე 9 ნაწილში. იმას იცნობენ ოქრომჭედელი მაქსიმე ახვლედიანი, ავალიანი და სხვანი. მეორე ბრალდებულმა იაშვილმა თავი დამნაშავედ არ აღიარა. ამის გამო როგორც ბრალდებულმა, ისე დამცველებმა ტერ-ნუბაროვმა და ბახუტაშვილმა ითხოვეს საქმე შეწყვეტილიყო და ხელ-ახლად გამოსაძიებლად გადაცემულიყო, რადგან მჭედლიშვილის გამოტეხის შემდეგ ბევრი რამ არის საქმის დასამთავრებლად და გამოსაძიებლად საჭირო. სასამართლომ ბრალმდებლის თხოვნით ამ დღეს გამოჰკითხა მხოლოდ ორს მოწმეს. მოწმემ გლასოვმა დაწვრილებით აღნიშნა საქმის გარემოება და განაცხადა, რომ ნამდვილად მახსოვს იმ ხუთ კაცში, რომელნიც დამეცნენ, იაშვილი და მჭედლიშვილიც იყვნენ, ისინი ვიცანი, რადგანაც წინადაც მინახავსო. 17 ივნისს მთელ დღეს საკრედიტო საზოგადოებასთან ვხედავდი აგრეთვე არტემ მარტიევსაო. აღნიშნულ მოწმეს გარდა საქმის გარემოება ეკითხა აგრეთვე ოჭანეზოვსაც.

ბოლოს ოლქის სასამართლომ გადაწყვიტა შეაჩეროს საქმე და ახალი გამოძიება დანიშნოს.

II

ოლგინის ქუჩაზე ფქვილით მოვაჭრეს კომდარ-ოსკარ ოღლის 1-ლ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ გუშინ ერთის თვით ციხეში ჩაჯდომა მიუსაჯა იმისათვის, რომ ცუდ ფქვილს ჰყიდდა, თუმცა კომდარ-ოსკარ ოღლი ამტკიცებდა, ეს ფქვილი საქონლის გამოსაკვებად მქონდა და მარტო ამ საჭიროებისათვის ვყიდდიო.

წვრილი ამბები

—

სიმდიდრე რომის პაპისა. შემდეგი ანგარიში ცხად ჰყოფს რომის პაპის დიდ სიმდიდრეს, რომელიც 530 მილიონ მანეთს შეადგენს. წლიურად ამ ფულს შემოაქვს 30 მილიონი მანეთი. ამ გვარად პაპს შემოსდის: თვეში—$2^1/_2$ მილიონი, კვირაში—$1/_2$ მილიონი, დღეში—103 ათასი მანეთი, საათში—$4^1/_4$ ათასი მანეთი, ერთ წუთში—$71^1/_4$ მანეთი და ერთ წამში—$1^1/_4$ მანეთი.

* *

ამერიკული დუელი ისეთი უნდა, როგორც ამას წინად ორ ამერიკელს გაუმართნიათ ერთმანეთ შორის. კაპიტანს კლერკსონს ინჟენერი მეტროკისონი გამოუწვევია დუელში. ამ უკანასკნელს უნდა აერჩია, რა იარაღით მოისურვებდა დუელს. არც ეპიეზია, არც უცხელებია და მეტროკისონს გადაჭრით გამოუცხადებია, დინამიტის პატრონათი მინდა ბრძოლაო. მოპირდაპირეც დათანხმებულა და დანიშნულ დღეს დანიშნულ ადგილას გამოცხადებულან კლერკსონი და მეტროკისონი თავ-თავიანთ სეკუნდანტებით. სეკუნდანტები ხეებზე შესულან და იქიდან მიუციათ ნიშანი დუელის დაწყებისა. ორ გასროლაზე დინამიტი არ გახეთქილა, მაგრამ მესამედ გასროლილი დინამიტები საშინელის ხმით გახეთქილა და სეკუნდანტები ხეებიდან ჩამოცვივნულან. როცა გონს მოსულან და მოდავეებთან მისულან, კლერკსონის მაგიერ რაღაც დაფლეთილი უმსგავსო ნაჭრები უნახავთ, მეტროკისონისა-კი მხოლოდ ფეხსაცმელები დარჩენილიყო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 თებერვალი

პოლტავა. „პოლტავსკი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია დადგენილებანი სასოფლო-სამეურნეო კომიტეტისა: სასურველადაა ცნობილი, რომ მამულების დაგირავების წესები შემოიღონ, ყველასათვის ხელმისაწვდომი სახალხო სკოლები დააარსონ, სოფლის მეურნეობის მოძრავ მასწავლებელთა თანამდებობა დაარსონ, საცდელი მინდვრები ბლომად გააჩინონ, გლეხკაცების შესახებ დებულება მალე შეიცვალოს, ერობას უფლება მიეცეს საკრედიტო დაწესებულებათა გახსნისა, ტელეფონის და საზღვარ-გარეთ საშინაო მრეწველობის მუდმივ გამოფენების გამართვისა. სხდომის დახურვის შემდეგ თავად ურუსოვს მადლობა გადაუხადა კომიტეტმა.

ნიცა. 8 თებერვალს, საღამოს 6 ს. ქალაქი უცებ ელექტრონის სინათლემ გაანათა; ქუჩაში მყოფმა ხალხმა დაინახა კომეტის დაცემა.

ლვოვი. ნავთის მრეწველთა წარმომადგენლებს და საფინანსო წევრებს თათბირი ჰქონდათ გალიციის ნავთის მრეწველობის კრიზისზე და რუსეთისა და ამერიკის ნავთის მოცილეობაზე. იმისათვის, რომ მრეწველობის გაჭირვებას რამე ეშველოს, საჭიროა ნავთის მრეწველთა კავშირი დაარსდეს და გერმანიაში ნავთის გამტანთ შემწეობა მიეცეს.

ვილემსტადტი. ის ცნობა, ვითომ ვენეცუელას ინსურგენტებზე გაემარჯვოს, სწორე არაა.

პეკინი. ჯანჯიდუნი ხუბეისა და ხუნანის პროვინციების მეფის მოადგილედ დაამტკიცეს.

მადრიდი. ალარის სადგურზე მგზავთა მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა; 13 კაცი დაიჭრა.

მოსკოვი. ქ-ნ ჩერტკოვის ანდერძით 50,000 მანეთია დატოვებული ბავშვთა თავშესაფარებისათვის.—9 თებერვალს ეკატერინეს ინსტიტუტში 100 წლის იუბილეის დღესასწაული დაიწყეს. ინსტიტუტის დამაარსებლის და მფარველის დედოფლის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. 10 თებერვალს სადღესასწაულო აქტი და ბალი გადაიხადეს.

გროდნო. მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის დეპეშა: „გულით გმადლობ გროდნოს აზნაურებს ჩემდამი გამოცხადებულ გრძნობათათვის“. ეს დეპეშა თავად-აზნაურებმა ვილნოს გენერალ-გუბერნატორის ამნაირ დეპეშის პასუხად მიიღეს: „მის იმპერატორებით უდიდებულესობას, გროდნოს აზნაურნი ას კაცამდე შეიკრიბნენ ქალ. გროდნოს და გრძნობენ რა მონარქის ნდობას, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ აზნაურებს მონაწილეობა მიაღებინეს სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებში, მოჰმართავენ თხოვნით, რომ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას მათი უსაზღვრო უქვეშევრდომილესი მადლობა მოავახსენო.

ლოძი. მეფაბრიკე ბელის საქონლის საწყობი დაიწვა. საწყობი 175,000 მანეთამდე იყო დაზღვეული. ზარალი უფრო მეტია.

ვაშინგტონი. ამბობენ, ინსურგენტებს ბევრი იარაღი და სამხედრო სურსათი შეაქვთო. პრეზიდენტს კასტროს არ შეუძლიან ამას ხელი შეუშალოს, რადგან ფლოტი არა აქვს. გერმანიის ესკადრის უფროსი დაჭერილ გემებს ფორტო ოფ-სპეინში კვირას დააბრუნებს.

ოდესა. მევენახეთა და მეღვინეთა კრება გაიხსნა სამხრეთ-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ლეონნარდის თავჯდომარეობით. 400 წარმომადგენელზე მეტი იღებს მონაწილეობას ამ კრებაში. მიწათ-მოქმედების მინისტრის და ბევრის საზოგადო დაწესებულების მისასალმებელი დეპეშა წაიკითხეს. თავმჯდომარის თანაშემწედ ბაზაროვი და თაიროვი აირჩიეს. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა დონსკოიმ გამოაცხადა, რომ სამინისტრო არა ჰფიქრობს ყურძნის ღვინოს ბაჟი დაადოს და ბანდეროლი გააკრასო. 30-ზე მეტი მოხსენება წარმოადგინეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამზაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლი № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.). ს

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზოკრაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ზოკრაპნისაკენ:—ღამის 3 ს, 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

—

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ამით აცხადებს, რომ გარდა უკვე გამოცხადებულის აგენტებისა („ცნ. ფ.“ თებ. გვ. 4), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1) **ქუთაისში:** თავ. კირილე ბეჟანის ძე დადეშქელიანი(?), სიდოვან თომას ძე ხუნდაძე, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი; 2) **საჩხერეში:** თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი; 3) **ლეჩხუმში:** თ. ქაიხოსრო გელოვანი; 4) **ზუგდიდში:** ბესარიონ ჭილაძე; 5) **სიღნაღში:** ზაქარია ილიას ძე ნაცვლიშვილი; 6) **ბორჯომში:** ნიკოლოზ დავითის ძე აბაზაძე; 7) **განჯაში:** ელენე ალექსანდრეს ასული აბელაძისა; 8) **დუშეთში:** აბელ იაშვილი; 9) **ცაგერში:** მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი; 10 **ყარსში:** ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე. (2—1)

ქუთაისის საცდელი მინდორი

აცხადებს ნოფლის მეურნეთა საყურადღებოდ, რომ პარასკეობითა კვირაობით იგი ჰყიდის ერთისა და ორის წლის დამყნილ ხე-ხილის წერგებს ორ-ორ შაურად თითო ძირს.

ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, ლილიძის ხელოვნურად მომზადებული ხილეულობის წყლის ქარხნის ეზო. (3—1)

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლდე-ყურულში

იყიდება დამყნილი ვაზები, აგრეთვე რქები. ე. ი. დამყნილი ვაზები სხვა-და-სხვა ჯიშისაა; არის ბორდოსა, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინისა, აგრეთვე რუპესტრისი $22^1/_2$ ვერშოკი ათასი 24 მანეთამდე და სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზები. იყიდება აგრეთვე სხვა-და სხვა დასამყნობი ვაზები და რქები (550 ჯიშისა). პრეის-კურანტის მიღება მსურველს უფასოდ შეუძლიან.

ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: ი. ყიფიანი ქუთაისში. (4—1)

Утвержденная Г-мъ Министромъ Внутреннихъ Дѣлъ

контора по грузовымъ операціямъ

и

агентурно- торговымъ дѣламъ

А. И. Никифорова

Принимаетъ на себя:

а) Перевозку грузовъ изъ городскихъ складовъ, квартиръ и другихъ помѣщеній на желѣзнодорожную станцію Тифлисъ и со станціи въ городъ.

б) Сдачу всякаго рода грузовъ, подлежащихъ отправленію по желѣзнымъ дорогамъ, съ выполненіемъ по нимъ желѣзнодорожныхъ формальностей.

в) Выписку грузовъ и багажа со складовъ желѣзной дороги.

г) Страхованіе грузовъ въ одномъ изъ страховыхъ Обществъ.

д) Увѣдомленіе грузохозяевъ о прибывшихъ ихъ грузахъ.

е) Упаковку товаровъ и домашнихъ вещей, подлежащихъ отправкѣ по желѣзнымъ дорогамъ.

ж) Провѣрку ж. д. документовъ по переборамъ, срочной доставкѣ по желѣзнымъ дорогамъ.

з) Представительство фабрикъ, заводовъ и вообще торгово-промышленныхъ предпріятій.

Контора помѣщается на Пушкинской улицѣ, въ домѣ Кредитнаго общества. Телефонъ № 880. Открыта для производства операцій ежедневно, кромѣ воскресныхъ и праздничныхъ дней отъ 8-ми часовъ утра до 2-хъ часовъ дня и отъ 6-ти до 8-ми часовъ вечера. (2—26—2)

ცინკოგრაფია

ტიპოგრ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა.

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37½.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

НА

ОБЩЕДОСТУПНЫЙ, ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ,

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

(2-ой годъ изданія)

„Листокъ Виноградарства, Винодѣлія и Плодоводства“,

ЖУРНАЛЪ будетъ выходить 1 и 15 числа каждаго мѣсяца книжками въ 2 печатныхъ листа по значительно-расширенной программѣ, посвященной вопросамъ культуры, технологіи и хозяйственной экономіи виноградного и плодоваго хозяйствъ.

Съ этой цѣлью помимо постояннаго сотрудничества иностранныхъ и русскихъ ученыхъ спеціальстовъ, редакціей приглашены къ участію въ журналѣ и мѣстныя силы въ лицѣ выдающихся хозяевъ и многочисленныхъ корреспондентовъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: На годъ 2 р., съ пересылк. и дост.—2 р. 50 к. На полъ года — 1 р. 25 к., съ пересылк. и дост.—1 р. 50 к.

ЗА ПЕРЕМѢНУ АДРЕСА уплачивается 14 копѣекъ почтовыми марками.

За напечатаніе объявленій взимается за страницу—8 руб., за ½ страницы—4 руб., за ¼ страницы—2 руб. Мелкія объявленія печатаются по соотвѣтствующимъ этимъ цѣнамъ разсчету.

ЗА ПЕРЕСЫЛКУ ОТДѢЛЬНЫХЪ ОБЪЯВЛЕНІЙ при журналѣ плата взимается по соглашенію съ объявителемъ.

Рукописи, присылаемыя въ редакцію должны быть четко переписаны на одной сторонѣ листа и снабжены подписью и адресомъ автора. Принятыя статьи въ случаѣ надобности сокращаются и исправляются,—непринятыя сохраняются въ редакціи въ теченіи 3-хъ мѣсяцевъ и либо возвращаются авторамъ за ихъ счетъ, либо уничтожаются по минованіи срока храненія.

Адресъ редакціи: г. Кишиневъ, Болгарская, № 7. Редакторъ Н. Могилянскій.

(3. 3—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Февраля, 1903 г. ელექტრონის სტამბა ქართ. გამომც. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).